



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ბიზნესის ადმინისტრირება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 14 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 30 ივნისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400028849
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული. პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2014 წლის 4 დეკემბერს საბჭოს N248 გადაწყვეტილებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ხუნდაძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე, სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა გიორგაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) საბაკალავრო პროგრამამ 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N248; 4 დეკემბერი). საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პროგრამის სტრუქტურა აგებულია სწავლის სფეროების მოქმედი კლასიფიკატორით გათვალისწინებული უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების აგების პრინციპების დაცვით. პროგრამაში 138 კრედიტი განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) სავალდებულო სასწავლო კურსების (120 კრედიტი), პრაქტიკის კომპონენტისა (8 კრედიტი) და საბაკალავრო პროექტისათვის (10 კრედიტი); 18 კრედიტი ეთმობა ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) სავალდებულო არჩევით კურსებს, რომლებიც ფოკუსირებულია ფინანსების, მენეჯმენტის ან მარკეტინგის კონცენტრაციებზე, სადაც სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი; 24 კრედიტი განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) შესაბამისი არჩევითი კურსებისათვის; 36 კრედიტი განკუთვნილია ინგლისური ენის სავალდებულო კომპონენტისათვის, ხოლო 24 კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი სასწავლო კურსებისათვის. პროგრამის მიხედვით ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ B2 დონეზე.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად 2020 წლის 14 მაისს. ვიზიტამდე 13 მაისს, შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (გოჩა თუთბერიძე, სოფიო ხუნდაძე, დავით ქარცივაძე, ლაშა გიორგაძე) ვიდეო-კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართული დოკუმენტაცია და თვითშეფასების ანგარიში. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

14 მაისს 10:30 საათიდან, Zoom-ის საშუალებით, დაიწყო გასაუბრება პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია) თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ინტერვიუების პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად და მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა:

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია, ხოლო 1.2 კომპონენტი კი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 2.1, 2.5 და 2.6 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2, 2.3 და 2.4 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 4.1, 4.2, 4.3 და 4.4 შეფასდა, როგორც შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შეფასებულია, როგორც შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

- ✓ 2.4 სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ან ამ სწავლის შედეგების კორექტირება ან „კორპორაციის ფინანსების საფუძვლების“ სასწავლო კურსის არჩევითი მოდულიდან სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადმოტანა;
- ✓ 2.3 სწავლის შედეგის მიღწევის გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მარკეტინგული კვლევის“ სასწავლო კურსის მარკეტინგის არჩევითი მოდულიდან სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადმოტანა.
- ✓ სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის უზრუნველსაყოფად, სასწავლო კურსების შინაარსის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „საგადასახადო საქმე“ წინაპირობად განისაზღვროს „ფინანსური აღრიცხვა II“;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით დასაზუსტებელია ტექნიკური ტიპის საკითხი, კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსის „ექსპორტის მენეჯმენტი“ წინაპირობად განსაზღვრულია არჩევითი სასწავლო კურსი „საერთაშორისო მარკეტინგი“, რაც აღნიშნული სასწავლო კურსის არჩევას სავალდებულოს ხდის;
- ✓ რეკომენდირებულია მეტად ლოგიკურად მოხდეს სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების განაწილება, სასწავლო კურსების ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების სირთულის გათვალისწინებით;
- ✓ რეკომენდირებულია პრაქტიკის მემორანდუმები მოიცავდეს ინფორმაციას პრაქტიკის ხანგრძლივობისა და ასევე, პრაქტიკის ობიექტზე აკადემიური წლის განმავლობაში გასაგზავნი სტუდენტების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა კომპონენტის უკეთ დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესს;

- ✓ რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ გადავიდეს ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. აღნიშნული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები მნიშვნელოვანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულისთვის.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ ვინაიდან, ამ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროდ განსაზღვრულია საშუალო და დაბალი მენეჯმენტის პოზიცია, სასურველია მარკეტინგის არჩევით მოდულს დაემატოს „გაყიდვების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი, რაც ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კურსდამთავრებულთა დასაქმების გაზრდას;
- ✓ მიზანშეწონილია ზოგიერთი პერსონალის ავტობიოგრაფიის განახლება, რათა ის სრულად ასახავდეს მათ სამეცნიერო თუ აკადემიურ საქმიანობას.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- დაკორექტირდა ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი) საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება, როგორც „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში შეტანილი იქნა ცვლილებები და სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება ჩამოყალიბდა „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;
- ბიზნესის ადმინისტრირება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში დაზუსტდა შეფასების ფორმები და კომპონენტები, დაშვების წინაპირობები, მეთოდები და კრიტერიუმები, ასევე სწავლა/სწავლების მეთოდები;
- განახლდა პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, ძირითადად აქცენტები გაკეთდა თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურაზე;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და შიდა საუნივერსიტეტო კვლევების შედეგების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტების მოდულს დაემატა Excel და Access ბიზნესისათვის, მეწარმეობის, საგადასახადო საქმე, ექსპორტის მენეჯმენტის, ინვესტიციების საფუძვლები, ციფრული მარკეტინგის, რეკლამირება და სტიმულირების სასწავლო კურსები. გაძლიერდა ასევე თავისუფალი სასწავლო დისციპლინების მოდული, კერძოდ სტუდენტებისათვის დამატებით იქნა შეთავაზებული შემდეგი

სასწავლო კურსები: საერთაშორისო მარკეტინგი, კულტურათაშორისი მენეჯმენტი, ბიზნესი მოქმედებაში, ბიზნესის ეთიკა, ბიზნეს ინგლისური 1 და 2, სოციოლოგიის საფუძვლები და სამოქალაქო საზოგადოება. აღნიშნული შეთავაზებით სტუდენტებს მიეცემათ საშუალება დამატებით საჭიროებისამებრ დაიკმაყოფილონ პროფესიული ინტერესები და გაიფართოვონ ცოდნის არეალი;

- გაძლიერდა ასევე პროგრამის პრაქტიკული და სასწავლო-კვლევითი კომპონენტი, კერძოდ დაიხვეწა პრაქტიკის სილაბუსი და კურსი გახდა 8 კრედიტიანი. ასევე, პროგრამს დაემატა საბაკალავრო პროექტის კომპონენტი 10 კრედიტის ფარგლებში, სადაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ პროგრამის ბოლოს პრაქტიკულად შეაჯამონ პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა და ასახონ კონკრეტულ ბიზნეს გეგმაში ან კომპანიის პროფაილის შედგენაში;
- გაძლიერდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შემადგენლობა, პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების მქონე ლექტორებით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებია: მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ბიზნესის ცვალებად გარემოში სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ფინანსების სფეროში შემენილი ფართო თეორიული ცოდნის საფუძველზე და აგრეთვე სტუდენტებს განუვითაროს ისეთი ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების და პრაქტიკული უნარები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ არა მარტო ბიზნეს პროცესების წარმატებულ ადმინისტრირებაში, არამედ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვაში.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია და მიღწევადი. პროგრამის მიზნები, ასევე, ძირითადად, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ის თანხვედრაშია უნივერსიტეტის ხედვასთან - ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებულ, საერთაშორისო დონის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებად ჩამოყალიბება.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას, პროგრამის განვითარების ჯგუფმა, გაითვალისწინა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები და პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება. შესწავლილი და გაანალიზებული იქნა გრონინგენის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; რიგის ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის საბაკალავრო პროგრამა; მინესოტას უნივერსიტეტის სამეწარმეო მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა. ხოლო, პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის დადგენის მიზნით კი უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მკვლევარების მიერ განხორციელდა შრომის ბაზრის ანალიზი და ასევე, გამოიკითხნენ დამსაქმებლები.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში კარგად არ არის გამოკვეთილი ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციები. თუმცა, პროგრამის შინაარსი, სასწავლო გეგმა პასუხობს, როგორც

ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს მაგრამ მიზნების ფორმულირებაში ეს არ არის გამოკვეთილი. შესაბამისად, სასურველია მოხდეს ამ ასპექტით პროგრამის მიზნების ფორმულირების სრულყოფა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია. დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის კვლევა;
- ინტერვიუ უსდ-ს და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ფორმულირებაში აისახოს პროგრამის მიმართება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებთან

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამის მიზნები ფორმულირებულია ნათლად, გასაგებად და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია 8 სწავლის შედეგი, რაც ოპტიმალურია ასეთი პროგრამებისათვის. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ძირითადად ასახავს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. სწავლის შედეგები ფოკუსირებულია სტუდენტის მიღწევაზე, შეფასებადი და გაზომვადია.

პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის წარმოსაჩენად შემუშავებულია მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. პროგრამით გათვალისწინებული თითოეული კომპეტენციისათვის, ზოგიერთის გამოკლებით, განსაზღვრულია სასწავლო კურსები, რომლებშიც თავის მხრივ წარმოდგენილია თითოეული კომპეტენციის განვითარების შეფასების მექანიზმები და დადგენილია მათი მიღწევის დონეები.

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოყენებული იქნა დაინტერესებული მხარეების შეფასება და რეკომენდაციები: სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. სწავლის შედეგების თანამედროვე შრომის ბაზრის ტენდენციებთან მეტი დაახლოებისთვის, უნივერსიტეტმა ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა და გამოიყენა ამ კვლევის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

მიუხედავად ზემოაღნიშნული, მნიშვნელოვანი, პოზიტიური შეფასებისა, სწავლის შედეგების ნაწილში ექსპერტთა ჯგუფს გააჩნია გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება გააუმჯობესებს პროგრამის სწავლი შედეგების მიღწევას. კერძოდ:

- პროგრამის სწავლის შედეგი 2.4 „ანხორციელებს კორპორაციული ფინანსების

მართვის პროცესების ანალიზს, ახდენს სხვადასხვა სირთულის ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის პრობლემების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის გზების მოძიებას“, არსებული სასწავლო გეგმით, იქნება რთულად განსაზღვრად, ვინაიდან, სასწავლო კურსი „კორპორაციის ფინანსების საფუძვლები“, არ არის სავალდებულო სასწავლო კურსი და ის ისწავლება არჩევით მოდულში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ან ამ სწავლის შედეგების კორექტირება უნდა მოხდეს ან „კორპორაციის ფინანსების საფუძვლების“ სასწავლო კურსი არჩევითი მოდულიდან უნდა გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში; - პროგრამის სწავლის შედეგი 2.3 „აგროვებს მარკეტინგული ინფორმაციის სისტემის გამოყენებით პირველად და მეორად მონაცემებს, ახდენს მიზნობრივი საბაზრო სეგმენტის იდენტიფიცირებას არსებული და ახალი პროდუქტების დანერგვის, სტიმულირების და სხვა მარკეტინგული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით“ მიღწევისათვის, უპრიანია სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში ვასწავლოთ „მარკეტინგული კვლევის“ სასწავლო კურსი, რომელიც მარკეტინგის არჩევით მოდულში ისწავლება. სავალდებულო მოდულში კი შეთავაზებულია „მარკეტინგის საფუძვლების“ და „მომხმერებელთა ქცევის“ სასწავლო კურსები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შემოთავაზებაა „მარკეტინგული კვლევის“ სასწავლო კურსი გახდეს სავალდებულო, ხოლო არჩევით მოდულში კი დაემატოს „გაყიდვების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი.	მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გზამკვლევი; ✓ კურიკულუმის რუკები; ✓ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის კვლევა; ✓ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი; ✓ ინტერვიუ უსდ-ს და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. რეკომენდაციები: 2.4 სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ან ამ სწავლის შედეგების კორექტირება ან „კორპორაციის ფინანსების საფუძვლების“ სასწავლო
---	---

კურსის არჩევითი მოდულიდან სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადმოტანა;

2.3 სწავლის შედეგის მიღწევის გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მარკეტინგული კვლევის“ სასწავლო კურსის მარკეტინგის არჩევითი მოდულიდან სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადმოტანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ვინაიდან, ამ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროდ განსაზღვრულია საშუალო და დაბალი მენეჯმენტის პოზიცია, სასურველია მარკეტინგის არჩევით მოდულს დაემატოს „გაყიდვების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი, რაც ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კურსდამთავრებულთა დასაქმების გაზრდას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი,	✓			

სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
---	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, პირი ვალდებულია დაადასტუროს ქართული ენის B2 დონის კომპეტენცია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან პირები, რომლებმაც სრული ზოგადი განათლება მიიღეს ქართულ ენაზე, ან, რომლებსაც გავლილი აქვთ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი, რომელიც უნივერსიტეტში საიდანაც ხდება მისი მობილობა, ჩარიცხა ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე, ექვემდებარება ქართული ენის B2 დონის განსაზღვრას, რათა დადასტურდეს პირის მიერ პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგისთვის საჭირო ენობრივი კომპეტენცია.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩასაბარებელი საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა და ისტორია / მათემატიკა, რაც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #19/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან, კერძოდ, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ბიზნესის ადმინისტრირების შემთხვევაში სწავლის სფეროს მიხედვით ჩასაბარებელი საგნებია მათემატიკა / ისტორია. ამდენად, პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და მოთხოვნებს, ლოგიკურია, შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://eeu.edu.ge/
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თვითშეფასების ანგარიში ✓ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ✓ ინტერვიუს შედეგები ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია აღნიშნული წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი, 8 სემესტრი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში 138 კრედიტი განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის (120 კრედიტი), საწარმოო პრაქტიკისა (8 კრედიტი) და საბაკალავრო პროექტისათვის (10 კრედიტი). 18 კრედიტი ეთმობა ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) კონცენტრაციებს (ფინანსების, მენეჯმენტის ან მარკეტინგის კონცენტრაციები). სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი. 24 კრედიტი განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) არჩევითი სასწავლო კურსებისათვის, 36 კრედიტი - ინგლისური ენის სავალდებულო კომპონენტისათვის, ხოლო 24 კრედიტი - თავისუფალი სასწავლო კურსებისთვის. ამდენად, პროგრამის ფარგლებში კონცენტრაციების, არჩევითი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არჩევითობას.

პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია და სათანადოდაა განსაზღვრული კომპონენტზე დაშვების წინაპირობები. აღსანიშნავია მხოლოდ სასწავლო კურსის „საგადასახადო საქმე“ დაშვების წინაპირობა. საგანმანათლებლო პროგრამა აღნიშნული სასწავლო კურსის წინაპირობად განსაზღვრავს

სასწავლო კურსს „მეწარმეობა“. სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის უზრუნველსაყოფად, აღნიშნული სასწავლო კურსების შინაარსის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „საგადასახადო საქმე“ წინაპირობად განისაზღვროს „ფინანსური აღრიცხვა II“.

ლოგიკურია საწარმოო პრაქტიკისა და საბაკალავრო პროექტის წინაპირობებიც. საწარმოო პრაქტიკის კომპონენტზე დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტების 120 კრედიტი, რაც ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს სრულად ფარავს (გარდა კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსებისა). საბაკალავრო პროექტზე დაშვების წინაპირობაც ასევე პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სფეროს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსია, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული კომპონენტების დაწყებამდე კომპონენტების შესასრულებლად საჭირო ცოდნითა და უნარებით სტუდენტის უზრუნველყოფას.

დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით დასაზუსტებელია ტექნიკური ტიპის საკითხი, კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსის „ექსპორტის მენეჯმენტი“ წინაპირობად განსაზღვრულია არჩევითი სასწავლო კურსი „საერთაშორისო მარკეტინგი“, რაც აღნიშნული სასწავლო კურსის არჩევას სავალდებულოს ხდის.

სასწავლო კურსი „კორპორაციული ფინანსები“ სავალდებულოა მხოლოდ ფინანსების კონცენტრაციის ფარგლებში, რეკომენდირებულია აღნიშნული სასწავლო კურსი გადავიდეს ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგის „2.4. ანხორციელებს კორპორაციული ფინანსების მართვის პროცესების ანალიზს, ახდენს სხვადასხვა სირთულის ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის პრობლემების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის გზების მოძიებას“ უკეთ მიღწევას.

სასწავლო კურსი „მარკეტინგული კვლევა“ სავალდებულოა მხოლოდ მარკეტინგის კონცენტრაციის ფარგლებში. რეკომენდირებულია აღნიშნული სასწავლო კურსი გადავიდეს ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგის „2.3. აგროვებს მარკეტინგული ინფორმაციის სისტემის გამოყენებით პირველად და მეორად მონაცემებს, ახდენს მიზნობრივი საბაზრო სეგმენტის იდენტიფიცირებას არსებული და ახალი პროდუქტების დანერგვის, სტიმულირების და სხვა მარკეტინგული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით“ უკეთ მიღწევას.

სასწავლო კურსი „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ სავალდებულოა მხოლოდ მენეჯმენტის კონცენტრაციის ფარგლებში. რეკომენდირებულია აღნიშნული სასწავლო კურსი გადავიდეს ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. აღნიშნული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების ფლობა მნიშვნელოვანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულისთვის.

პროგრამის მოცულობა, სტრუქტურა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების

საფეხურს. პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი) და პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების ერთობლიობა მეტწილად შესაძლებელს ხდის პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობა. ინტერვიუების დროს დასახელდა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა პროგრამაზე მუშაობის პროცესში.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <https://eeu.edu.ge/>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თვითშეფასების ანგარიში
- ✓ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
- ✓ სილაბუსები
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი
- ✓ ინტერვიუს შედეგები
- ✓ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- ✓ სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის უზრუნველსაყოფად, სასწავლო კურსების შინაარსის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „საგადასახადო საქმე“ წინაპირობად განისაზღვროს „ფინანსური აღრიცხვა II“;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით დასაზუსტებელია ტექნიკური ტიპის საკითხი, კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსის „ექსპორტის მენეჯმენტი“ წინაპირობად განსაზღვრულია არჩევითი სასწავლო კურსი „საერთაშორისო მარკეტინგი“, რაც აღნიშნული სასწავლო კურსის არჩევას სავალდებულოს ხდის.
- ✓ რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „კორპორაციული ფინანსები“ გადავიდეს ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგის (2.4.) უკეთ მიღწევას;
- ✓ რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „მარკეტინგული კვლევა“ გადავიდეს ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი სწავლის

შედეგის (2.3.) უკეთ მიღწევას; ✓ რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ გადავიდეს ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. აღნიშნული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები მნიშვნელოვანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომლის საშუალებითაც დემონსტრირებულია სასწავლო კურსებისა და

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა, ამასთან, რუკა განსაზღვრავს თუ რომელი სასწავლო კურსი რა ხარისხით უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს თანაბარი მოცულობის კრედიტებს (6 ECTS) პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის. სასწავლო კურსებით მისაღწევი სხვადასხვა სირთულის სწავლის შედეგების გათვალისწინებით ვთვლით, რომ არ არის ლოგიკური თანაბარი სამუშაო საათების განაწილება მაგ. ისეთი სასწავლო კურსებისთვის როგორცაა „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“ და „კორპორაციული ფინანსები“ ან სასწავლო კურსები „მარკეტინგის საფუძვლები“ და „მარკეტინგული კვლევა“. რეკომენდირებულია მეტად ლოგიკურად მოხდეს სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი სამუშაო საათების განაწილება, სასწავლო კურსების ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების სირთულის გათვალისწინებით.

სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია ადეკვატური სწავლებისა და სწავლის მეთოდები (ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა), რაც შესაძლებელს ხდის სასწავლო კურსებით და საერთო ჯამში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომლის საშუალებითაც დემონსტრირებულია სასწავლო კურსით განსაზღვრული თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად გამოყენებული შეფასების მეთოდები, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს გამოყენებული შეფასების მეთოდების სათანადოობა.

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებულია შეფასების ადეკვატური მეთოდები, კერძოდ, სასწავლო კურსებში სადაც ხაზგასმულია ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ხსნის, მაგალითად „ახდენს ფინანსური აღრიცხვის საკითხების საერთაშორისო სტანდარტებით შეფასებას, მათი გადაჭრის ფორმებისა და მეთოდების შერჩევას“, „ახდენს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის მომზადებას და წარდგენასთან დაკავშირებული საკითხების ფორმირებას და არგუმენტირებული პასუხის მომზადებას“ და ა.შ. შეფასების მიზნით გამოყენებულია ისეთი ტიპის დავალებები, როგორცაა პრაქტიკული ამოცანებისა და სავარჯიშოების ამოხსნა, ან მაგალითად, სადაც სწავლის შედეგად აღწერილია ანალიზისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება „ანალიზებს სიტუაციებს სოციოლოგიური კვლევის ზოგადფილოსოფიური და სპეციფიკური მეთოდების გამოყენებით და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს“, გამოიყენება დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია, რომლებიც სასწავლო კურსის მიმდინარეობისას გამოიყენება როგორც შუალედური აქტივობები.

სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია ადეკვატური, მეტწილად თანამედროვე ლიტერატურა, რაც უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას და საშუალებას მისცემს სტუდენტს გაეცნოს დარგში

მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებსა და მიღწევებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ თვითშეფასების ანგარიში ✓ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ✓ სილაბუსები ✓ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია მეტად ლოგიკურად მოხდეს სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი სამუშაო საათების განაწილება, სასწავლო კურსების ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების სირთულის გათვალისწინებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას. აღნიშნული უნარების გამომუშავების მიზნით პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტს (საწარმოო პრაქტიკა) 8 კრედიტის მოცულობით, პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება ასევე პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტი, საბაკალავრო პროექტი, 10 კრედიტის მოცულობით.

საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე. აღნიშნული კომპონენტით სტუდენტთა უზრუნველყოფის მიზნით პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. რეკომენდირებულია პრაქტიკის მემორანდუმები მოიცავდეს ინფორმაციას პრაქტიკის ხანგრძლივობისა და ასევე, პრაქტიკის ობიექტზე აკადემიური წლის განმავლობაში გასაგზავნი სტუდენტების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა კომპონენტის უკეთ დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესს.

